

Rusudan Turnava, Nino Gagoshashvili, Tatia Oboladze

რუსუდან თურნავა, ნინო გაგოშაშვილი, თათია ობოლადე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Literary and Political Strategy of French Writers Towards Georgia in the First Half of the 20th Century

ფრანგი მწერლების ლიტერატურული და პოლიტიკური სტრატეგია საქართველოს მიმართ XX საუკუნის პირველ ნახევარში

This paper examines Georgian-French literary and cultural relations during the 1920s-1930s, focusing on the influence of the Union Society for Cultural Relations with Abroad (VOKS). Using archival sources, it explores how French writers, including André Gide, were invited to observe Soviet Georgia as part of a broader propaganda strategy. The study highlights ideological conflicts, reflecting both admiration for Georgian culture and skepticism toward Soviet politics. The works of Romain Rolland, Henri Barbusse, and Gide illustrate the tension between initial enthusiasm for socialism and growing disillusionment with Soviet totalitarianism, shaping cultural exchanges and the literary narratives of the time.

Keywords: Georgian-French cultural relations, Soviet propaganda, French literary reflections, Ideological conflict, Early Soviet period

საკვანძო სიტყვები: ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობები, საბჭოთა პროპაგანდა, ფრანგული ლიტერატურული გამოხმაურებები, იდეოლოგიური კონფლიქტი, ადრეული საბჭოთა პერიოდი

ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. XVII საუკუნეში ევროპასთან დაახლოების მცდელობამ შედეგი გამოიღო: თეიმურაზ I-სა და ვახტანგ VI-ს პოლიტიკურმა ძალისხმევამ და სულხან-საბა ორბელიანის დესპანობამ ევროპაში ხელი შეუწყო ევროპული ორიენტაციის მომხრეების მომრავლებას ქართულ რეალობაში, ხოლო ქართულ ლიტერატურაში – დასავლურ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა და ევროპული ლიტერატურული ტენდენციათა დამკვიდრებას.

XVII-XIX საუკუნეებში ფრანგი მოგზაურების მიერ შეიქმნა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მოგონებები და დღიურები საქართველოს შესახებ. სწორედ ფრანგი მოგზაურების საშუალებით გაიცნო საფრანგეთმა და, ზოგადად, ევროპამ საქართველო. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოგზაურობის შესახებ დაცული ცნობები ფრანგი მხატვრების – ანრი ფარამონ ბლანშარის, ემილ ფრანსუა დესენის და ჟან-პიერ მუანეს – მოგონებებში. ალექსანდრე დიუმას წიგნი „კავკასია“ საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მისი მეგზურის, ჟან-პიერ მუანეს, მოგზაურობის დროს შექმნილი ნახტების მეორე ნაწილი (47

ნახატი) და მისი საკუთარი მოგონებები სათაურით „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ მხოლოდ რამდენიმე წლის წინ ითარგმნა ქართულად და გამოიცა. ჟან-პიერ მუანეს ნაშრომი გარკვეულწილად ავსებს ალ. დიუმას წიგნის კავკასიურ შთაბეჭდილებებს, აღწერს რა თბილისის მრავალფეროვნებას, მის იერსახეს, აღმოსავლური და დასავლური ელემენტების სინთეზს.¹

1821 წლიდან თბილისში არსებობს საფრანგეთის საკონსულო, რაც საქართველოსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთების დასტურია. ალ. ჭავჭავაძის ოჯახში იქმნება პირველი ევროპული ტიპის სალონი, რომლის პატრონი თარგმნის ფრანგული ლიტერატურის შედეგებს – ვოლტერს, ჟან-ბატისტ რუსოსა და ვიქტორ ჰიუგოს. XIX საუკუნიდან ქართული რომანტიზმის წიაღში კიდევ უფრო გაიზარდა ევროპული მსოფლმხედველობისა და კულტურული ტენდენციების ქართულ მწერლობაში რეფლექსირება, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი ევროპელი რომანტიკოსების – ლამარტინის, ჰიუგოს, ბაირონის, შელის, ჰაინეს და სხვათა გვერდით დადგა. ამავე პერიოდიდან ქართულ თეატრში დაიწყო ახალი იდეურ-მხატვრული მიმართულებების დანერგვა. მის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ევროპულმა, განსაკუთრებით, ფრანგულიდან თარგმნილმა და გადმოკეთებულმა პიესებმა. საქართველოს ეროვნულ არქივსა და თბილისის ხელოვნების სასახლეში ჩვენ მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია 90 ფრანგულიდან თარგმნილი და ადაპტირებული პიესის ხელნაწერი, რომლებიც თარიღდება 1870-1920 წლებით – მათ შორის მოლიერის, სკრიბის, ლაბიშის, ბომარშეს, ჟან რიშპენის, სარდუს, დენერის, ეჟენ ბრიეს, მირბოს, მელაკისა და ჰალევის და სხვათა პიესების ქართული თარგმანები და ადაპტაციები.² ცხადი გახდა, რომ ხშირად ქართულად მცისიერად ითარგმნებოდა ის პიესები, რომლებიც საფრანგეთში იდგმებოდა (მაგალითად, ეჟენ ბრიეს „ძიძები“ (Les Remplaçantes) ავტ. ცაგარელმა თარგმნა პარიზული პრემიერიდან რამდენიმე თვეში 1901 წელს და ა.შ.). დიდმა ინტერესმა ფრანგული დრამატურგიის მიმართ (ზოგჯერ არსებობდა ერთი და იმავე ტექსტის რამდენიმე თარგმანიც, მაგალითად: სკრიბისა და მელვილის მელიოდრამა – „ვალერი“ (Valerie), რომელიც 1888 წელს თარგმნა გიორგი ჟურულმა და 1903 წელს – კოტე ყიფიანმა; ოგიუსტ ვაკრის დრამა „ჟან ბოდრი“, 1891 წელს თარგმნეს კოტე მესხმა და ივანე მაჩაბელმა; ჟან-ფრანსუა ბაიარის „პარიზელი ბიჭი“ 1884 წელს თარგმნა მიხეილ ჯორჯაძემ, 1886 წელს – დავით ერისთავმა და სხვ.) და ფრანგულიდან თარგმნილი და ადაპტირებული პიესების სიმრავლემ ბუნებრივად გამოიწვია ქართულ დრამატურგიაში კომედიის, დრამის, ვოდევილის ჟანრების განვითარება.

ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია კიდევ უფრო გაღრმავდა XX საუკუნის 10-იან წლებში, გალაკტიონისა და ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ადვილი შესამჩნევია ფრანგ ავტორებთან მსოფლმხედველობრივი და კონცეპტუალური დიალოგი. ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ჯგუფის მთავარ ამოცანას ნაციონალური და კულტურული იდენტობის ხელახალი გააზრება და ქართული ლიტერატურის დასავლურ მოდერნიზმთან დაახლოება, „ქართული მწერლობის ევროპული რადიუსით გამართვა“ (ტ. ტაბიძე) წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, სააზროვნო სივრცის გაფართოებისა და ქართული ლიტერატურის განახლების სურვილით, ცისფერყანწელებმა საკუთარი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი პოზიციის ფორმირებისას მთავარ ავტორიტეტებად ფრანგი

¹ ქ. პ. მუანეს მოგონებები ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა და გამოიცა 2018 წელს ჩვენს მონოგრაფიულ ნაშრომში: „კავკასიის ფრანგული დღიური“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი (ფრანგულად პირველად გამოქვეყნდა 1860 და 1867 წლებში ედუარდ შარტონის *გაზეთში „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ (E. Char-ton, Le Tour du Monde)*).

² ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი და ადაპტირებული 90 ხელნაწერის აღწერილობა, მათი დათარიღება, ავტორის ვინაობის განსაზღვრა, თარგმანის შეფასება და სხვა ინფორმაცია შეტანილია ჩვენს წიგნში „ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია ქართულ კულტურულ სივრცეში (მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე)“, გამომცემლობა: „მწიგნობარი“, თბილისი, 2019. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად მოხდა აღნიშნულ ხელნაწერთა კლასიფიცირება.

სიმბოლისტიკები, კერძოდ კი „დიდი ოთხეული“ – შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, სტეფან მალარ-მე, პოლ ვერლენი და სხვ. მიიჩნიეს (Oboladze 2018).

ქართულ პრესაში ინტენსიურად იბეჭდებოდა სიახლეები საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. გაზეთ „დროების“ რედაქტორი, სერგეი მესხი 1873-1874 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში და იქიდან აწვდიდა სიახლეებს. დიდმა რეჟისორმა, მსახიობმა და მთარგმნელმა კოტე მესხმა საფრანგეთში შეისწავლა მოწინავე ევროპული თეატრალური კულტურა, ის აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“. ამავე გაზეთთან თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც 1860-იან წლებში ფრანგულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს ფრანგული ლიტერატურის შესახებ. გაზეთს 1873 წლიდან ევროპული კულტურის სიახლეებს აწვდიდნენ ჟენევიდან – ბესარიონ ჯაფარიძე, ციურიხიდან – ივანე მესხი. 1880-იან წლებში ფრანგული ლიტერატურის თარგმანებს აქვეყნებს ივანე მაჭავარიანი როგორც გაზეთ „დროებაში“, ასევე „მოამბეშიც“. იმავდროულად, პრესაში (ჟურნალი და გაზეთი „ივერია“, გაზეთი „დროება“, „ცნობის ფურცელი“, ჟურნალები – „იმედი“, „შრომა“) ქვეყნდება რეცენზიები და გამოხმაურებები ქართველ სცენისმოყვარეთა და მუდმივი ქართული დასის სპექტაკლებზე. ქართველ მსახიობთა სასცენო ოსტატობასთან ერთად, რეცენზენტები განიხილავენ საქართველოში ყველაზე პოპულარულ ფრანგ დრამატურგთა შემოქმედებას, ფრანგულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესების ავ-კარგს.

XX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურა და ხელოვნება, კინოს დაბადებასთან ერთად, მწვავე პრობლემებს ეხმაურება: კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის სისასტიკესა და ფაშიზმის აღზევებით გამოწვეულ რაციონალიზმის კრიზისს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდატეხებს, მეცნიერულ პროგრესს, განსხვავებული იდეოლოგიების – სოციალიზმი, კომუნიზმი, სკეპტიციზმი, რელატივიზმი – გავრცელებას.

ფრანგულ საზოგადოებაში, პოპულისტურ ლიტერატურულ სკოლასთან შედარებით, მეტი მხარდაჭერა გამოვლინდა პროლეტარული ლიტერატურული მიმდინარეობის მიმართ. მარსელ მარტინემ (1887-1944) პირველმა განმარტა პროლეტარული კულტურის სპეციფიკური ცნება. 1913 წელს ჟან-რიშარ ბლოკის ჟურნალში „ეფორ ლიბრ“ (*Effort libre, 1910-1914*) მან გამოაქვეყნა მანიფესტი სათაურით „პროლეტარული ხელოვნება“ (*L'Art prolétarien*). 1935 წელს გამოვიდა მ. მარტინეს სტატიების კრებული „პროლეტარული კულტურა“ (*Culture prolétarienne*). იგი იყო „ლიუმანიტეს“ (*L'Humanité*) ლიტერატურული რედაქტორი 1921-1924 წლებში და გამოაქვეყნა ანრი პულაის, პროლეტარული ლიტერატურული მიმდინარეობის ლიდერის, პირველი ტექსტები, 1930 წელს კი დაიბეჭდა მისი უმნიშვნელოვანესი თეორიული ესეი „ახალი ლიტერატურული ეპოქა“, *პარიზი, ჟორჟ ვალუას გამომცემლობა (Nouvel age littéraire)*. ა. პულაიმ ლუსიენ ბურჟუასთან ერთად 1932 წლის მარტში შეკრიბა პროლეტარ მწერალთა ჯგუფი. მათი პერიოდული გამოცემის, „პროლეტარ მწერალთა ბიულეტენის“ (*Bulletin des écrivains prolétariens*), პირველ ნომერში გამოქვეყნდა მანიფესტი სათაურით „ჩვენი პოზიცია“ (*Notre position*), რომელსაც ხელს აწერს 36 ავტორი (ტრისტან რემი, მარკ ბერნარი, ჟორჟ ალტმანი, ფრანსის ანდრე, ეჟენ დაბი, ჟორჟ დავიდი, ვიქტორ სერჟი, მორის ფომბერი, ლუსიენ გაშონი, ედუარდ პეისონი, მაგდელენ პაცი და სხვ.). ანრი პულაი მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა ფენიდან გამოსული მწერლების ხელშეწყობას და მათი ნაწარმოებების გამოცემას, რომელთაშიც ასახული იქნებოდა ამ სოციალური კლასების ცხოვრების პირობები (Ambroise, 2001, p. 41-55).

საფრანგეთში 1913-1930 წლებში თანდათან ჩამოყალიბდა პროლეტარული ლიტერატურული მიმდინარეობა. მარსელ მარტინემ პირველმა განმარტა პროლეტარული კულტურის სპეციფიკური ცნება. მან 1913 წელს ჟან-რიშარ ბლოკის ჟურნალში – „ეფორ ლიბრ“ (*Effort libre*) გამოაქვეყნა მანიფესტი – „პროლეტარული ხელოვნება“, რომელიც მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა ფენიდან გამოსული მწერლების ხელშეწყობას და ამ სოციალური კლასების ცხოვრების პირობების ასახვას. ამჯერად მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ პრობლემებს, რადგან აქამდე ინდივიდი ბატონობდა ხელოვნებაში. ფატალური ისტორიული და ეკონომიკური მოვლენების ფონ-

ზე საზოგადოების როლი მომავლის განმსაზღვრელი ხდება, ამიტომ „*ნებით თუ უნებლოით, დღეს ერთად ცხოვრების მოწესრიგების საკითხი დგას ყველაზე მაღლა. ადამიანთა სოლიდარობა უნდა ვიტვირთოთ... დღეს ჩვენი მოვალეობაა ადამიანებს შორის კავშირის დამყარებას ვემსახუროთ*“ (Barbusse, 1927, p. 13-14). ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ანრი ბარბიუსის მიერ წამოყენებული, სამი ძირითადი პრინციპი – „*ფიზიკური შრომისა და გონებრივი შრომის მუშაკების დაახლოება*, 2) *ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კულტურის რეაქციული და არქაული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა*; 3) *კოლექტიური ხელოვნების გამოყოფა და მისი აყვავებისთვის ხელის შეწყობა*“ (Barbusse, 1927, p. 31) – ეხმაურება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სოციალისტური რეალიზმის მიმართულებას, რომელსაც, რა თქმა უნდა, აქვს გარკვეული თავისებურებები.

ევროპელმა მწერლებმა, განსაკუთრებით ფრანგებმა, რუსეთის 1917 წლის რევოლუციას მიაპყრეს მზერა და მასში დაინახეს სოციალური უსამართლობის დაძლევის, მილიტარიზმის შეწყვეტის უმოკლესი გზა. არსებობდა იმედი და მოლოდინი, რომ საბჭოთა კავშირი შეძლებდა სოციალური სამართლიანობისა და პიროვნების თავისუფლების იდეების რეალიზებას. საბჭოთა კავშირის დაცვისა და კომუნისტური იდეების გავრცელების საქმეში აქტიურად ჩაერთნენ რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, პოლ ვაიან-კუტურიე, ჟან-რიშარ ბლოკი, ლუი არაგონი, ლეონ მუსინაკი, თავდაპირველად ანდრე ჟიდიც დიდი სიმპათიით იყო განწყობილი საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. ამ პერიოდში დაინტერესდა პროლეტარული ლიტერატურის სკოლის წარმომადგენელი ვიქტორ სერჟი საბჭოთა ლიტერატურითა და კულტურით, ახალი ტენდენციებით; მან დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ჟურნალებთან „*კორესპონდანს ენტერნაციონალ*“ და „*კლარტე*“ (*La Correspondance Internationale et Clarté*); იკვლევდა ახალ ნაწარმოებებს, მათ შორის, ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას. ფაშისტური გერმანიის საფრანგეთში შემოჭრამ კიდევ უფრო გააძლიერა კომუნისტური იდეები, რომლებსაც იზიარებდნენ ჟორჟ კონიო, ელზა ტრიოლე, როჟე გაროდი, პოლ ელუარი, ჟან ფრევილი და სხვები.

„XX საუკუნის I ნახევარში და შემდგომაც მთელს დასავლურ ინტელექტუალურ სამყაროში მემარცხენეობის საყმაწვილო სენი ბობოქრობდა, განსაკუთრებით ფრანგულ გარემოში, სადაც ანდრე ჟიდის და ალბერ კამიუს ინტელექტუალური სიფხიზლე და ზნეობრივი ვაჟკაცობა იყო საჭირო კომუნიზმის ხასხასა წითელ სამოსზე უზარმაზარი სისხლიანი ლაქების დასანახად. შესაძლოა ტოტალიტარიზმთან შეთანაშების ეს ცოდვა გარდაუვალიც იყო, რადგან იმას, ვინც, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ ფასეულობებზე უარი თქვა, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიური განცდის დაკარგვის შემდეგ სამყაროში მეტაფიზიკური აბსოლუტის არსებობა გამოირცხა, კომუნიზმსა და ნაციონალიზმს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი“ (დალანიძე, 2006, გვ. 26-27).

აღსანიშნავია, რომ ფრანგების ინტერესი რუსული კულტურისადმი საბჭოთა კავშირამდე გაცილებით ადრე, XIX საუკუნეში იზრდება. მანამდე მრავალმა ფრანგმა იმოგზაურა რუსეთში, მაგრამ მაინც ცოტა რამ იცოდნენ ამ ქვეყნის შესახებ. ეჟენ-მელკიორ დე ვოგის მიერ 1886 წელს გამოქვეყნებული წიგნი „*რუსული რომანი*“ (*Le Roman russe*) მნიშველოვანი ნაშრომი აღმოჩნდა. დაიწყო რუსული ლიტერატურის თარგმნა და განხილვა. ამ მხრივ საყურადღებოა 1849 წელი, როდესაც პროსპერ მერიმემ თარგმნა ალ. პუშკინის მოთხრობა „*პიკის ქალი*“. 1851 წელს „*რევიუ დე დე მონდში*“ (*Revue des Deux Mondes*) გამოქვეყნდა მისი ეტიუდი ნ. გოგოლის შესახებ, 1853 წელს კი – „*რევიზორის*“ თარგმანი. პ.მერიმე განიხილავდა აგრეთვე ივ. ტურგენევის შემოქმედებას და თარგმნიდა მის ნაწარმოებებს. 1875 წელს საფრანგეთში დაიწყო რუსული ენის შესწავლა საუნცივერსიტეტო დონეზე (Talks, 1987, გვ. 7). ივ. ტურგენევი, რომელიც ამ დროს საფრანგეთში ცხოვრობდა, თავისი წვლილი შეიტანა რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. 1921 და 1928 წლებში ფართოდ აღინიშნა ფ. დოსტოევსკისა და ლ. ტოლსტოის იუბილეები, რომლებშიც ანდრე ჟიდი მონაწილეობდა როგორც თ. დოსტოევსკის მკვლევარი.

საბჭოთა კავშირმა და სოციალიზმით დაინტერესებულმა ფრანგმა მწერლებმა დაამყარეს მჭიდრო კავშირი, რომელიც მოიცავდა მხარდამჭერი წერილების გამოქვეყნებას პერიოდიკაში, მეგობარი მწერლების პოპულარიზაციის მიზნით მათი წიგნების თარგმნასა და გავრცელებას საბჭოთა კავშირში, ვიზიტებს. „საბჭოთა კავშირის მეგობრების საზოგადოება“ (*L'Association des amis de l'URSS*), ა. ბარბიუსისა და ფ. ჟურდენის თაოსნობით, აწყობდა ვიზიტებს სსსრკ-ში. საბჭოთა რეალობის უკეთ გაცნობის მიზნით ანრი ბარბიუსი 1927 წელს ეწვია მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას. ის უკვე იყო კომუნისტური პარტიის წევრი და საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდისტი. საბჭოეთი ა. ბარბიუსის ყოველკვირეული საერთაშორისო ჟურნალის, „მონდ“ (*„Monde“*), საშუალებით ცდილობდა საფრანგეთში პროლეტარული ლიტერატურის პოპულარიზაციას; ა. ბარბიუსმა ვერ დაინახა ან ვერ შეძლო იმის აღიარება, რომ ბოლშევიკებმა გადაუხვიეს მარქსიზმის იდეებიდან და ტოტალიტარული სახელმწიფო შექმნეს. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაწერა საკმაოდ ვრცელი წიგნი სათაურით „აი, რა უყვეს საქართველოს“ (*Voici ce qu'on a fait de la Géorgie*). წიგნი ფრანგულად გამოსცა „ფლამარიონმა“ 1929 წელს, ხოლო არისტო ჭუმბაძის ქართული თარგმანი სახელგამმა – 1930 წელს. ა. ბარბიუსის ეს ნარკვევი მკაცრად არის გაკრიტიკებული ფაქტების უხეში დარღვევების გამო დავით შარაშიძის წიგნში „ა. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“ (*H. Barbusse, les Soviets et la Géorgie*), რომელიც გამოიცა პარიზში 1930 წელს.

1930-იან წლებში გრძელდებოდა ფრანგული ტექსტების თარგმნა ოლონდ ახალი რეალობის შესატყვისად; მხოლოდ ის ავტორები ითარგმნებოდა, რომელთა მსოფლმხედველობაც მისაღები იყო საცენზურო კომიტეტისთვის. შესწავლას მოითხოვს რომენ როლანის, ანრი ბარბიუსის, ლუი არაგონის, ანატოლ ფრანსის, ჟან-პოლ სარტრის, ჟაკ პრევერის, მარგარეტ დიურასა და სხვების ნაწარმოებების უცნობი თარგმანები.

სსრკ-სა და საქართველოში სხვადასხვა დროს მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოაქვეყნეს პიერ პასკალმა, ანრი ბარბიუსმა, ჟან-რიშარ ბლოკმა, ჟორჟ სიმენონმა, ანდრე ჟიდმა, ლუი არაგონმა, ჟან-პოლ სარტრმა, სიმონ დე ბოვუარმა, ეჟენ გიევიკმა.

საქართველოში არ უმოგზაურია, თუმცა საბჭოეთის დიდი მხარდამჭერი იყო რომენ როლანი. მერაბ ლაღანიძე საყვედურობს რ. როლანს ბოლშევიკურ სისასტიკეთა მიმართ დუმილს, მაგრამ იქვე წერს: „თუმცა არც ისაა დასავიწყებელი, რომ როლანი, ჭუმანისტი და პაციფისტი, კაცი, რომელსაც, შტეფან ცვაიგის სიტყვებით „ყველაზე ნათელი და ყველაზე კეთილი თვალები ჰქონდა, მართლაც ვერ ხედავდა საჩვენებელი სტალინური კოლმეურნეობა-ქარხნების მიღმა ყოვლისგამჭოლ სახელმწიფო ძალადობას“ (ლაღანიძე, 2006).

1920-იანი წლების დასასრულს რომენ როლანი მოექცა პოლიტიკურ და სტალინის ყურადღების ცენტრში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როლანსა და ბარბიუსს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ამ უკანასკნელს მაინც ჰკითხეს აზრი საბჭოთა კავშირის მიმართ როლანის ლოიალობის თაობაზე, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად და მისი ზოგიერთი საქციელის ასახსნელად, როგორც არის 1930-იანი წლების დიდ მიტინგებში მონაწილეობაზე უარის თქმა. ა. ბარბიუსის პასუხი ჩანს მის საუბრებში VOKS-ის თანამშრომლებთან: ის „კარს ყოველთვის ღიას ტოვებს“ (Coeuré, 2014, pp. 24-31).

პროლეტარული ლიტერატურისადმი რომენ როლანის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს მისი წერილი მოსკოვის მცირე თეატრის ცნობილი დრამატურგის, სერგო ამალლობელისადმი. როლანი აქებს ამალლობელის პიესას „ცხოვრება მშვენიერია“, რომელიც ასახავს რუსეთში გამარჯვებული რევოლუციის სულისკვეთებას და ადამიანებს შორის ახალი, სოციალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს. ამალლობელის პიესის შეფასებისას ხაზგასმით არის აღნიშნული კოლექტივის შემოქმედებითი უნარი: „მთელს თქვენს პიესაში არის სიცოცხლის მეტროპოლი სიხარული, შემოქმედი კოლექტივის მეზნებარე გრძნობა, კაცთმოყვარეობის ფართო და ნათელი სულისკვეთება“. სერგო ამალლობელი მაღლობას უხდის რომენ როლანს დადებითი შეფასების-

თვის, რომელიც დაეხმარება მას ახალი თეატრის, „სოციალური ოპტიმიზმის“ თეატრის კონცეფციისა და სტილის ჩამოყალიბებაში (მწერალთა კავშირის ფონდი 8, აღწ. 1, საქმე 338).

რომენ როლანი მოსკოვში მოგზაურობის დღიურებსა (1935 წლის ივნისი-ივლისი) და ამ დღიურების დამატებით კომენტარებში (1938 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) აღწერს ქართველ ბოლშევიკებთან ახელ ენუქიძესა და შალვა ელიავასთან დაკავშირებულ ამბებს.

თავის დღიურში სტალინთან შეხვედრის შესახებ 1935 წლის 28 ივნისს, რომენ როლანი იგონებს, რომ ბელადმა ახსენა ბიბლიოთეკარი, რომელიც მის მოწამვლას აპირებდა და ის მოყვანილი იყო სახალხო კომისრის, ენუქიძის მიერ. ამ დღიურის კომენტარის მიხედვით, სტალინმა როლანთან საუბარში აღნიშნა, რომ თავის ძველ მეგობარს, ენუქიძეს ადანაშაულებდა მხოლოდ უყურადღებობაში. მან არ იცოდა, რომ ენუქიძე იყო შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. „წარმოიდგინეთ სტალინის სულიერი შოკი, როდესაც მან გაიგო ამ ღალატის შესახებ“ – ამბობს როლანი (Rolland, 1992, pp. 131, 282).

1935 წლის 18 ივლისის დღიურში „ჟან კრისტოფის“ ავტორი მოგვითხრობს როგორ მოუსმინა ქართული ხალხური სიმღერების 30 კაციან გუნდს მაქსიმ გორკის სახლში. გუნდმა მასპინძელს წარუდგინა სახალხო კომისარი შალვა ელიავა. მწერალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მომღერლების უცნაურმა კოსტიუმებმა და მათმა „უცნაურმა სამხმიანმა, კონტრაპუნქტულმა სიმღერებმა... რომელიც სულ ცოტა ფრანსუა პირველის ეპოქის უნდა იყოს“. რ. როლანმა ყველაზე უფრო ორიგინალურად მიიჩნია გურული მომღერლების პოლიფონიური სიმღერები, რომლებიც ამჟღავნებდნენ გაუგონარ გაბედულებას ხმების (პარტიების) დამოუკიდებლობის მხრივ. კონცერტი დამთავრდა ქართული ენაზე შესრულებული ინტერნაციონალით, რომლის ბოლო კადენცია გაქართულებული იყო. როლანმა შეამჩნია, რომ გურულები ინტერნაციონალს არ მღეროდნენ, რაც პროტესტის ნიშნად მიიჩნია (Rolland 1992, p. 193). ამ დღიურის კომენტარში რომენ როლანი ამბობს, რომ ქართული დელეგაციისადმი მიძღვნილ ბანკეტზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა შალვა ელიავა, ქართველებმა არც ერთი სადღეგრძელო არ მიუძღვნეს სტალინს. მ. გორკიმ წარმოთქვა ეს სადღეგრძელო ქართველების მაგივრად, რომლებმაც თავის გასამართლებლად მორცხვობა მოიმიზეზეს. როლანი ამჯერად ეჭვს გამოთქვამს: *უარი სადღეგრძელოზე და ინტერნაციონალზე დაკავშირებული უნდა იყოს ოპოზიციისაში ყოფნასთან, რასაც მოჰყვა ელიავას დაპატიმრება სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მომდევნო წელსო* (Rolland 1992, p. 289).

დღეს უნდა ითქვას, რომ რომენ როლანი ზოგჯერ კრიტიკულად აფასებდა საბჭოთა სინამდვილეს, მწვავე კრიტიკაც არის გამოთქმული მის „მოსკოვურ დღიურში“. ასე მაგალითად, იგი წერს:

„უმაღლესი წარჩინებულების კარი (თუნდაც ისინი, ვინც ამ კეთილგანწყობას იმსახურებენ) პრივილეგირებული კლასის ცხოვრებას ეწევა, ხოლო ხალხს ჯერ კიდევ უწევს პურისა და ჰაერის (მინდოდა მეთქვა, საცხოვრებლის) შოვნა რთული ბრძოლით... და ეს ყველაფერი ხდება რევოლუციის გამარჯვების დასამტკიცებლად, რომლის მთავარი მიზანი იყო მუშათა შორის თანასწორობის დამყარება და ერთიანი კლასის შექმნა“ (Роллан, 1989, p. 245).

რომენ როლანისა და ანრი ბარბიუსის მსგავსად, საბჭოთა კავშირით აღფრთოვანებული იყო ანდრე ჟიდი. როგორც გალაკტიონი იგონებს 1935 წელს პარიზში გამართული მწერალთა მსოფლიო თავყრილობის მოვლენებთან დაკავშირებით, ა.ჟიდიმა ტამისცემის ფონზე ასეთი პასუხი გასცა ორ ტროცკისტულად მოაზროვნე ლიტერატორს: „დაე, საბჭოთა კავშირმა იცოდეს, რომ ჩვენი მისდამი ნდობა ურყევია და ეს ნდობა არის საუკეთესო გამოხატულება ჩვენი სიყვარულისა მის მიმართ“. გალაკტიონის დასკვნა ასეთია: „ოვაცია, რომელიც გაუმართა კონგრესმა ჟიდს, იყო საუკეთესო მაჩვენებელი კონგრესის პოზიციისა“ (ტაბიძე, 1935, გვ. 660-5). ლექსში „მწერალი გრიშში“ გალაკტიონი ყრილობას ასე გამოეხმაურა:

„ბარბიუსის და რომენ როლანის
რომ წავიკითხეთ ჩვენ მოწოდება
გულმა კვლავ ძლიერ დაიწყო ცემა
და ჩვენი თავი არ გვეცოდება
როცა გავიგეთ რომ ანდრე მალრომ
ჩვენი ყოფიდან შემოსა თემა
გულმა შეიგრძნო ის სიხარული
და უფრო ძლიერ დაიწყო ცემა“.
(ტაბიძე, 1935, გვ. 660-8)

ანდრე ჟიდს და მის თანამგზავრ 5 მწერალს (ჯეგ ლასტი, ჟაკ შიფერინი, ეჟენ დაბი, პიერ ერბარი, ლუი გიიუ) 1936 წლის 17 ივლისს ქართველმა მწერლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თბილისის ძერჟინსკის კლუბში. სადამო გახსნა არისტო ჭუმბაძემ ფრანგულად წარმოთქმული სიტყვით, რომელშიც გამოხატა პატივისცემა „ევროპის უდიდესი რევოლუციონერი, ღრმა მოაზროვნე, ნამდვილი ჰუმანისტი“ მწერლისადმი. საპასუხო გამოსვლაში ანდრე ჟიდმა ყურადღება გაამახვილა სტალინური კონსტიტუციის იმ მუხლებზე, რომლებიც იცავენ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების თვითმყოფადობას, აღნიშნა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა კავკასიისთვის, რომლის მამაცმა ხალხებმა ამ მშვენიერ საბჭოთა სიმფონიაში შეიტანეს უაღრესად მდიდარი ხმოვანება.

„მე დიდად ბედნიერი ვარ, – თქვა ფრანგმა მწერალმა, – ვიხილო, ქართული კულტურა რამდენად ახლოა და ენათესავება ფრანგულს. უახლოვდები რა ხალხს, რომელიც მე წინადაც მიყვარდა, ხალხს, რომლის ხმა პირვალად ახლა გავიგონე, უფრო უკეთ ვხვდები და ვგრძნობ ყველაფერს, რაც კი არის ამ ხმაში პოეტური, ვაჟკაცურ-კეთილშობილური, წარმტაცი და ამავე დროს ნაზი, რამაც ჩემს გულში ღრმა და ძმური გამოძახილი ჰპოვა (ლიტერატურული საქართველო, 1936, N12, გვ. 1).

ანდრე ჟიდმა და მისმა მეგობარმა მწერლებმა ორი კვირის განმავლობაში (17-29 ივლისი) მოიარეს თითქმის მთელი საქართველო (კახეთი, გორი, ბორჯომი, ბათუმი, სოხუმი, ბიჭვინთა). სოხუმში მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ქართველ მწერლებთან – საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელ მდივანთან, ამხ. დ. დემეტრაძესთან, ტ.ტაბიძესთან, კ. ლორთქიფანიძესთან, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ფრანგულად თარგმნის შესახებ.

„ყოველივე იმას, რაც გავიგონე მოსკოვში ქართული პოეზიის შესახებ, – თქვა ანდრე ჟიდმა, – და რისი გაცნობაც მოვასწარი საქართველოში, მიყვარა იმ აზრამდე, რომ საჭიროა სერიოზულად მოვაგვროთ ქართველი მწერლების გამოცემა პარიზში. ამაზე მე მოველაპარაკე ჩემს მეგობრებს და გამომცემლობას“ (ლიტერატურული საქართველო, 1936, N12, გვ. 2).

ფრანგული გამოცემისთვის მას უნდა დაეწერა წინასიტყვაობა და ეთარგმნა რამდენიმე ლექსი და პროზაული ნაწარმოები, ისე როგორც გააკეთა ეს რ. თაგორის ნაწარმოებთა გამოცემის დროს. ა. ჟიდი დაინტერესდა ლენინგრადში აკადემიკოს მარის ბროსეს მიერ პროზაულად თარგმნილი ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტებით და ითხოვა ასლის გაგზავნა. რამდენიმე ქართული წიგნიც გადაამიდეთო, ასაკი რომ არა, ქართული ენის შესწავლას დავიწყებდიო (Bouatchidzé, 2005, p. 115). მწერალთა კავშირი დაპირდა ჟიდს გამოცემის გეგმის შედგენას, ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების შერჩევას სათარგმნელად, ასევე ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ პარტიტურის გაგზავნას. ჟიდს ძალიან მოეწონა ა. მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა მიერ შესრულებული სიმღერები. ის არ დაინტერესდა ფიროსმანით, მაგრამ უფრო გვიან, ფიროსმანით მოიხიბლა ანდრე ჟიდის მეგობარი ანდრე მალრო, რომლის ინიციატივით 1969 წელს, პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში მოეწყო ფიროსმანის დიდი გამოფენა. ეჟენ დაბი ეწვია ყოფილ მონმარტრელს, ლადო გუდიაშვილს, მოცეკვავე სილუეტების სანახავად, თუმცა ეჟენ დაბიმ

მხოლოდ ჩაუარა დავით კაკაბაძის ზღვის ბრეტონულ პეიზაჟებს, ქვები, წყალი და ზეცა რომ მოჩანს (Bouatchidze, 2005, p. 116). მას მიაწოდეს ინფორმაცია ფრანგი მწერლების (ჰიუგო, ფლობერი, ანატოლ ფრანსი, მოპასანი, ბალზაკი, ვოლტერი, რასინი და სხვ). ქართული თარგმანების შესახებ. ცოლისადმი მიწერილ წერილში ჯეფ ლასტი აღნიშნავს, რომ თბილისი, თავისი მშვენიერი ქუჩებითა და პარკებით, საუკეთესოა საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებს შორის, სადაც ის ყოფილა (Talks, 1987, p. 469). ლუი გიუმ ქართველ პოეტებთან გატარებული სადამო გამოცხადა მოგზაურობის ყველაზე საუკეთესო მომენტად (Talks, 1987, p. 470).

პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე განსაკუთრებით აფასებდნენ ანდრე ჟიდის სტუმრობას, როგორც სიმბოლისტიკის თანამოაზრისა და მალარმეს სამშაბათობების მონაწილისა, რომელმაც ნარცისის თემა შეიტანა სიმბოლოზში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ანდრე ჟიდის აღფრთოვანება საბჭოთა კავშირით მალე შეიცვალა მწვავე და ობიექტური კრიტიკით. ის უფრო ფხიზელი დამკვირვებელი აღმოჩნდა, ვიდრე რომენ როლანი და ანრი ბარბიუსი. ა. ჟიდი ყოველთვის მზად იყო წინააღმდეგობისთვის, რაც კარგად ჩანს მის „ტრაქტატში ნარცისის შესახებ“, რომანში „ყალბი ფულის მჭრელები“, ისე როგორც სხვა ნაწარმოებებში.

ა. ჟიდის პირველ ნარკვევში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ □ *“დაბრუნება სსრკ-დან”* (1936) – საკმაოდ არის კრიტიკული შენიშვნები, რის გამოც მას საყვედურობდნენ სხვა მწერლები (Gide, 1936, chapitre 4). სოხუმში მან დაათვალიერა მოწინავე კოლმეურნეობა, რომელიც მოგებას უნაწილებს თავის წევრებს და სახელმწიფოზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ არსებობენ ლატაკი კოლმეურნეობები. ამასთანავე ამ მოწინავე კოლმეურნეობის ბინები საერთო საცხოვრებელს ჰგავს, ავეჯი საშინელია (Gide, 1936, chapitre II). ძალიან მოეწონა სოჭის ერთ-ერთი სასტუმრო, თუმცა მასზე ბევრად უკეთესი აღმოჩნდა სოხუმთან ახლო მდებარე სინოპის სასტუმრო. აქ სანიმუშო საბჭოთა მეურნეობაც ჰქონდათ, რომელშიც თითოელი ქათამი საგანგებოდ იყო მოვლილი, კონტრასტს კი ქმნიდა იქვე, ნაკადულის გადაღმა ჩამწკრივებული სავალალო ქოხმახები, რომელშიც დაახლოებით 5 კვადრატულ ოთახში 4 კაცი ცხოვრობდა და მათ საბჭოთა მეურნეობის რესტორანში სადილისთვის 2 რუბლის გადახდაც კი არ შეეძლოთ (Gide, 1936, chapitre III). ანდრე ჟიდმა შეამჩნია, რომ ყველგან იყო სტალინის სურათები და ყველა მას აქებდა, განსაკუთრებით საქართველოში. მწერალი გაოცებული ამბობს: „ნებისმიერ საცხოვრებელში, თუნდაც ყველაზე უბადრუკში, კედელზე მისი პორტრეტი. ალბათ იმ ადგილზე ადრე ხატი ეკიდა. გაღმერთება, სიყვარული თუ შიში, ვერ გამიგია“ (Gide, 1936, chapitre IV).

ა. ჟიდი თანამგზავრებთან ერთად გორში რომ შევიდა, გადაწყვიტა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა სტალინისთვის, ამ ქვეყანაში ასეთი გულთბილი მიღების საპასუხოდ, ყველგან რომ სიხარულით ესალმებოდნენ და სასურველი სტუმრები იყვნენ. სავალალო ის არის, რომ მთარგმნელთან ვერ შეათანხმა მისასალმების ტექსტი. უთხრეს: საკმარისი არ იქნება მხოლოდ თქვენობით მიმართვაო, უნდა დაემატებინა ამდაგვარი რამ – „თქვენ, მშრომელთა ბელადს“ ან „ხალხების მამას“. *„მე პროტესტი გამოვთქვი, რაგან სტალინი ასეთ პირმოთნობაზე მაღლა დგას. ამოდ ვიბრძვი, ვერაფერს გავაწყობ (...) ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ხელს უწყობს სტალინსა და ხალხს შორის საშინელი, გადაულახავი დაშორების გაჩენას“* (Gide, 1936).

ანდრე ჟიდმა მაშინვე განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას აღარ იღებდა საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მისი სახელით რუსულად გამოქვეყნებულ არც ერთ ტექსტზე.

მეორე ნარკვევში – *„შესწორებები სსრკ-დან ჩემი დაბრუნების შესახებ“* (1937) – კრიტიკა ბევრად უფრო მწვავეა. მწერალმა გამოამჟღავნა ხალხის მოტყუების მრავალი ფაქტი და იმავდროულად, საბჭოთა ქვეყანაში ჩამოყალიბებული შემოქმედის დაკნინებული მენტალიტეტი. მან შენიშნა, რომ მწერლები, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოება, აზრის გამოთქმისგან ყოველთვის იკავებენ თავს, მანამ, ვიდრე „პრავდა“ არ შეაფასებს ამა თუ იმ მოვლენას: *„ვაი მას, ვინც*

გადაუხვევს „პრავდის“ ხაზს“ (Gide, 1937, chapitre 3). საბოლოოდ, საბჭოთა კავშირში სტუმრობის შესაფასებლად ანდრე ჟიდმა ასეთი დასკვნა გააკეთა:

„მთელი მოგზაურობის განმავლობაში, ჩვენ არ ვიყავით, კაცმა რომ თქვას, მთავრობის მიერ მიწვეული სტუმრები, არამედ მდიდარი საბჭოთა ავტორების საზოგადოებისა. როდესაც ვფიქრობ ამ საზოგადოების მიერ ჩვენთვის გაწეულ ხარჯებზე, ეჭვი მეპარება, რომ ჩემი საავტორო უფლებების ოქროს მადარომ, რომელსაც მათ ვუტოვებ, შეძლოს მისი ხარჯების, ანაზღაურება (Gide 1937, chapitre VIII, p. 59).

ანდრე ჟიდმა იმდროინდელ გაზეთებში, მათ შორის „პრავდაში“ აღმოაჩინა საბჭოთა თვალთმაქცობის მამხილებელი ფაქტები: ფოლადის ჩამომსხმეელი, მანქანათმშენებელი ქარხნების წუნით მუშაობა, უვარგისი რვეულებისა და ხელსაწყოების წარმოება, აფთიაქების დიდი ნაკლებობა მოსკოვში, წერა-კითხვის უცოდინარობასთან უშედეგო ბრძოლა („პრავდა“, 1936 წლის 23. სექტემბერი, 15 ნოემბერი, 12 ნოემბერი, 8 აგვისტო; „იზვესტია“, 1936 წლის 3 ივნისი, 16 ნოემბერი, 28 დეკემბერი და ა. შ.) (Gide, 1937, p. 14-16, 24-25: (Правда, 1936, 8 августа, №217, стр. 4; 12 ноября, №311, стр. 6; 15 ноября, №314, стр.4; 26 декабря, №355, стр.4). შეიძლება ითქვას, რომ ანდრე ჟიდის ამ ორ ნარკვევში მოცემული მამხილებელი ფაქტები ანრი ბარბიუსის შეხედულებებისა და შეფასებების წინააღმდეგ მეტყველებს. ანდრე ჟიდი მეორე ნარკვევში „შესწორებები ჩემი სსრკ-დან დაბრუნების შესახებ“ გამოხატავს წუხილს, რომ ქართველმა მწერლებმა მისი კრიტიკა შეიძლება უმადურობად მიიჩნიონ (Gide, 1937, appendice). ცხადია, ანდრე ჟიდის მიერ საბჭოთა კავშირის ავტორიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მხილება, მსოფლიო საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, ფრანგი მწერლის ზნეობრივ და გაბედულ პოზიციად უნდა შეფასდეს. სამწუხაროა, რომ მწერლის ამგვარ პროტესტს ქართველი მწერლების (პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი) რეპრესიები მოჰყვა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა კრიზისმა, რაც გამოიხატა პირველი მსოფლიო ომის სისასტიკით, ფაშისმიის აღზევებით და ეგზისტენციალური პესიმიზმით, ხელი შეუწყო მემარცხენეობის იდეების გაძლიერებას, სოციალიზმის და კომუნისმიზმის იდეოლოგიის გავრცელებას. ევროპელმა მწერლებმა, განსაკუთრებით საფრანგეთში, გამოსავლის ძიებისას რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია დასახეს სოციალური უსამართლობის დამლევის და მილიტარიზმის შეწყვეტის საყოველთაო გზად.

XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოგზაურობის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის გაცნობის შედეგად ფრანგი მწერლების, რომენ როლანის, ანრი ბარბიუსის, ანდრე ჟიდის გამოხმაურებები, მათი ნარკვევები, მოგონებები და დღიურები ცხადყოფენ აღფრთოვანებულ შთაბეჭდილებებს ქართული ლიტერატურისა და კულტურის მიმართ, უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების და მეტი ინფორმაციის მიღების სურვილს. ისინი პოლიტიკურად ჯერ კიდევ ემხრობიან საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან უჭირთ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პრაქტიკული მარცხის აღიარება, რომელიც უნდა ყოფილიყო სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და პიროვნების უფლებების დაცვის ნამდვილი მაგალითი. მიუხედავად ამისა, მათ გამოთქვეს ეჭვი და უნდობლობა საბჭოთა კავშირში ტოტალიტარიზმის საფრთხის შესახებ. მათ შორის მხოლოდ ანდრე ჟიდმა დაინახა გარკვევით ეს საფრთხე, რომელიც მკაცრად ამხილა.

ამდენად, საბჭოთა პერიოდში საფრანგეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობა მიმდინარეობს სახეცვლილი ფორმით, რეჟიმის ინტერესების გათვალისწინებით. ნაკლებია ინტენსივობა, მაგრამ კავშირი გრძელდება. კერძოდ, ამ წლებში ითარგმნება და გამოიცემა საცენზურო კომიტეტის მიერ ნებადართულ ავტორთა ტექსტები, ეწყობა ფრანგ მოღვაწეთა ვიზიტები მკაცრად გაწერილი დღის წესრიგით. აქტუალობას ინარჩუნებს მიმდინარე კულტურული მოვლენების ამსახველი პუბლიკაციები იმდროინდელ პერიოდიკაში და იდგმება ფრანგულიდან თარგმნილი პიესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარბიუსი, ჰ. (1930). აი რა უყვეს საქართველოს, ტფილისი: „სახელგამი“. ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ.1, საქმე 338, თბილისი.
- თურნავა, ს. (1978). ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი: „მერანი“
- ლიტერატურული საქართველო (1936). ანდრე ჟიდის სიტყვა წარმოთქმული ძერჟინსკის სახელობის კლუბში, 12, 1, თბილისი: „ს.თოდრიას სტამბა“.
- ლიტერატურული საქართველო(1936). ქართველ მწერალთა თარგმანები ფრანგულად, 12, 2, თბილისი, „ს. თოდრიას სტამბა“.
- ტაბიძე, გ. (1935). დღიური 660-5. <https://galaktion.ge/?page=Diaries&year=1935&p=1&id=6854>
- ტაბიძე, გ. (1935). დღიური,660-8. <https://galaktion.ge/?page=Diaries&year=1935&p=1&id=6857>
- ღალანძიძე, მ. (2006). რომენ როლანის კეთილი თვალები, ჩვენი მწერლობა, 11, 26-27, თბილისი: „ილიონი“
- Ambroise, J.-Cl. (2001), *Ecrivain prolétarien : une identité paradoxale*, 44, 41-55, Paris : Presses de Science Po.
- Barbusse, H. (1927). *Manifeste aux intellectuels*, pdf, Quebec, Jean-Yves Dupuis.
- Barbusse, H. (1929). *Voici ce qu'On a fait de la Géorgie*, Paris: Ernest Flammarion, Editeur.
- Buachidze G. (2005). *Retour en URSS avec André Gide: touches et retouches*, Paris : Hermann.
- Charachidzé, D. (1930). H. Barbusse, les Soviets et la Géorgie. Paris: Editions Pascal.
- Coeuré, S.(2014). Romain Rolland, la Russie et le communisme. L'apport des archives soviétiques. *Cahiers de Brèves*, 34, 24-31. halshs-01969198.
- Gide, A. (1936). *Retour de l'U.R.S.S.*, Paris : Editions Gallimard.
- Gide, H. (1937). *Retouches à mon «Retour de l'U.R.S.S.»*. Paris: Editions Gallimard.
- Gide, A. (1923). *Dostoievsky*. Paris: Plon.
- Meerzon, Zh. (1936). *Causes of Automobile Accidents in Moscow, Pravda*, 217, August 8, 4, Moscow.
- Oboladze, T (2018). Georgian Symbolism: Context and Influence. *IJALEL Vol7*, 2.
DOI: <https://doi.org/10.7575/aiac.ijalel.v.7n.1p.110>
- Paveau, M.-A.(1998). Le «Roman populiste”: enjeux d'une étiquette littéraire». *Mots*, 55, 45-59.
DOI: <https://doi.org/10.3406/mots.1998.2345>
- Rolland, R. (1992). *Voyage à Moscou(juin-Juillet 1935)*, cahier 29, Editions Albin Michel.
- Talks, L. (1987). *André Gide's companions on his journey to the Soviet Union in 1936*, Florance.
- Беспечные руководители народного образования (От Горьковского корреспондента «Правды») (1936). *Правда*, 355, 26 декабря, 4, Москва.
- План строительства должен быть выполнен(1936). *Правда*, 311, 12 ноября, 6, Москва.
- Роллан, Р.(1989). *Московский дневник, вступительная статья Т. Мотылевой. Вопросы литературы*, 3. Москва, 190-246.
- Меерзон, Ж. (1936). *Причины аварии автотранспорта в Москве, Правда*, 217, 8 августа, 4, Москва.
- Хирургические инструменты(1936). *Правда*, 314, 15 ноября, 4, Москва.

References:

- Ambroise, J.-Cl. (2001), *Ecrivain prolétarien : une identité paradoxale*, 44, 41-55, Paris : Presses de Science Po.
- Barbusse, H. (1927). *Manifeste aux intellectuels*, pdf, Quebec, Jean-Yves Dupuis.
- Barbusse, H. (1929). *Voici ce qu'On a fait de la Géorgie*, Paris: Ernest Flammarion, Editeur.
- Barbusi, H. (1930). *Ai, ra iq'ves sakartvelos, T'pilisi: „sakhelgami“*. *Erovnuli arkivi, pondi 8, aghts'1, sakme 338*. [Here is what they did to Georgia. National Archive, Fund 8, Description 1, Case 338]. T'pilisi: “Sakhelgami”.
- Bespechnyye rukovoditeli narodnogo obrazovaniya (Ot Gor'kovskogo korrespondenta «Pravdy») (1936). [Areless Leaders of Public Education (From the Gorky Correspondent of *Pravda*)]. *Pravda*, 355, 26 dekabrya, 4, Moskva.
- Charachidzé, D. (1930). H. Barbusse, les Soviets et la Géorgie. Paris: Editions Pascal.
- Buachidze G. (2005). *Retour en URSS avec André Gide: touches et retouches*, Paris : Hermann.
- Coeuré, S.(2014). Romain Rolland, la Russie et le communisme. L'apport des archives soviétiques. *Cahiers de Brèves*, 34, 24-31. halshs-01969198.

- Ghaghanidze, M. (2006). Romen rolanis k'etili tvalebi. [Romain Rolland's Kind Eyes]. Chveni mts'erloba, 11, 26-27. Tbilisi: „ilioni“
- Gide, A. (1936). Retour de l'U.R.S.S., Paris : Editions Gallimard.
- Gide, H. (1937). Retouches à mon «Retour de l'U.R.S.S.». Paris: Editions Gallimard.
- Gide, A. (1923). Dostoievsky. Paris: Plon.
- Khirurgicheskiye instrumenty (1936). [Surgical Instruments]. Pravda, 314, 15 noyabrya, 4, Moskva.
- Lit'erat'uruli Sakartvelo. (1936). Andre Zhidis sit'q'va ts'armotkmuli dzerzhinsk'is sakhelobis k'lubshi, 12, 1. [[Literary Georgia (1936). André Gide's speech delivered at the Dzerzhinsky Club, 12, 1]. Tbilisi: „S. Todrias st'amba“.
- Lit'erat'uruli Sakartvelo. (1936). Kartvel mts'eralta targmanebi prangulad, 12, 2. [Literary Georgia (1936). Translations of Georgian Writers into French, 12, 2]. Tbilisi, „S. Todrias st'amba“.
- Meyerzon, ZH.(1936). Prichiny avarii avtotransporta v Moskve, Pravda, 217, 8 avgusta, 4, Moskva
- Oboladze, T (2018). Georgian Symbolism: Context and Influence. IJALEL Vol7, 2.
DOI: <https://doi.org/10.7575/aiac.ijalel.v.7n.1p.110>
- Paveau, M.-A.(1998). Le «Roman populiste”: enjeux d'une étiquette littéraire». Mots, 55, 45-59.
DOI: <https://doi.org/10.3406/mots.1998.2345>
- Plan stroitel'stva dolzhen byt' vypolnen (1936). [The Construction Plan Must Be Fulfilled]. Pravda, 311, 12 noyabrya, 6, Moskva.
- Rolland, R. (1989). Moskovskiy dnevnik, vstupitel'naya stat'ya T. Motylevoy. [*Moscow Diary*, introductory article by T. Motyleva]. Voprosy literatury, 3, 190-246, Moskva.
- Rolland, R. (1992). Voyage à Moscou(juin-Juillet 1935), cahier 29, Editions Albin Michel.
- T'abidze, G. (1935). Dghiuri. [Dairy]. 660-5. <https://galaktion.ge/?page=Diaries&year=1935&p=1&id=6854>
- T'abidze, G. (1935). Dghiuri. [Dairy]. 660-8. <https://galaktion.ge/?page=Diaries&year=1935&p=1&id=6857>
- Talks, L. (1987). André Gide's companions on his journey to the Soviet Union in 1936, Florance.
- Turnava, S. (1978). Lit'erat'uruli nark'vevebi. [Literary Essays]. Tbilisi: “Merani.”